



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N8

ქ. მარნეული

15.04.2016 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, ირაკლი ბურნაძე, ქამილ ალიევი, ლერი მუმლაძე, აბიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, რამიზ გულმამედოვი.

არ ესწრებოდა: - ნიკოლოზ გოგოჭური, რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭოიძე, გიორგი შუკაკიძე, რაფიკ მუსაევი.

სხდომას ესწრებოდა: - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ.
2. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 14 აპრილის N03/2446 წერილის განხილვის შესახებ.(შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“ ითხოვს 220 ათასი ლარის დამატებას და შესაბამისად კორექტირებული საშტატო განრიგისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებას)
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 13 აპრილის N03/2393 წერილის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვალი ისმაილოვმა ბიუროს წევრებს გააცნო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ N22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 12 აპრილის N1/2016 განკარგულების საფუძველზე, ზურაბ სხირტლაძის ნაცვლად, საარჩევნო ბლოკის „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია (პარტია დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო)“ პარტიული სიით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრის ზურაბ სხირტლაძის ადგილმონაცვლედ წარმოდგენილია ამავე პარტიის პარტიული სიით რიგით მომდევნო საკრებულოს წევრობის კანდიდატი სადრადინ ტალიბოვი. რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა ბიუროს წევრებს გააცნო „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 14 აპრილის N03/2446 წერილი შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს 2016 წლის ხარჯთაღრიცხვაში ცვლილების შეტანის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მოქალაქე დარეჯან გუჯეჯიანის განცხადება, რომელიც ითხოვს მისი შვილის ლუკა კაპანაძისათვის ერთჯერადად თანხის გამოყოფას, ვინაიდან იგი მიემგზავრება რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში, ძიუ-დოს შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად. მის მგზავრობას, კვებას და დაბინავებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუ-დოს ფედერაცია, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2016 წლის მერვე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევო